

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ადმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

19 აგვისტო 2008 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

ქ. თბილისი, ბარნოვის 75

სხდომის დაწყების დრო: 15:26სთ.

სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები:

გოჩა სვანიძე (სხდომის თავმჯდომარე), დავით ასათიანი, ზვიად კორძაძე, როინ მიგრიაული.

დღის წესრიგი:

1. გერმანიის საადვოკატო პალატასთან ურთიერთობის დამყარების შესახებ;
2. მ. ნოზაძის წევრობის საკითხის შესახებ;
3. ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ დევნილი წევრებისთვის დახმარების გაწევის შესახებ;

ადმასრულებელი საბჭოს წევრებმა იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხების ირგვლივ და მიიღეს შემდეგი

გ ა დ ა წ ე ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. მიენიჭოს უფლებამოსილება ადმასრულებელი საბჭოს წევრს ბ-ნ როინ მიგრიაულს, რათა მან აწარმოოს მოლაპარაკებები გერმანიის ფედერალურ ან ლანდის ადვოკატთა პალატის წარმომადგენლებთან

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან“ მომავალი თანამშრომლობის შესახებ.

2. მამუკა ნოზაძის წევრობის საკითხის განხილვა გადაიდოს გამამტყუნებელი განაჩენის წარმოდგენამდე.

3. შეიქმნას ადვოკატთა ასოციაციასთან არსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართლებრივი და ჰუმანიტარული დახმარების საკოორდინაციო ცენტრი.

დაევალოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს დანიშნოს საკოორდინაციო ცენტრის კოორდინატორი ნებაყოფლობით საწყისზე, ანაზღაურების გარეშე და დაამტკიცოს ცენტრის სამუშაო გეგმა.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

გოჩა სვანიძე (სხდომის თავმჯდომარე)

დავით ასათიანი

ზვიად კორძაძე

როინ მიგრიაული

დავით ლანჩავა

ზაზა ხატიაშვილი